პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 229 (3713) 23 ნოემბერი, შაბათი. 1968 წ. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დეპეშა ბათუმიდან

### ვალდებულება

აჭარის ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა ვადამდე შეასრულეს სპორტის ოსტატების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების წლევანდელი გეგმა და თვითვალდებულება.

ზ. მამუჩაძე,
აჭარის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

## ლიპეცკი მასპინძლობს

გუშინ მეტალურგთა ქალაქ ლიპეცკში, „დინამოს" ფიზკულტურის სასახლეში დაიწყო სამბისტთა საკავშირო პირადი პირველობა, რომელშიც გამოდის 96 უძლიერესი მოჭიდავე. მათ შორის არიან ევროპის ჩემპიონები ვ. საუნინი და ვ. ბონდარენკო, სსრ კავშირის ჩემპიონები ნ. ნოვიკოვი, გ. კოტიკი და სხვები.

## კონტინენტის პირველი...

პარიზში ამას წინათ გამართულმა ცურვის ევროპული ლიგის სხდომამ გადაწყვიტა გაისიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ჩაატაროს კონტინენტის თასის გათამაშება. პირველი ასეთი შეჯიბრება მოეწყობა 23-24 აგვისტოს ბუდაპეშტში (ქალებისთვის). ვაჟთა ტურნირის გამართვა დაევალა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცურვის კავშირს, რომელიც შეარჩევს ასპარეზობის ადგილსაც.

მონაწილე ქვეყნები ლიგამ სიძლიერის მიხედვით სამ ჯგუფად დაჰყო: I ჯგუფში იასპარეზებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისის, საფრანგეთის, სსრ კავშირის, შვეციის, უნგრეთისა და ჰოლანდიის კოლექტივები. ამ ჯგუფში ბოლო ადგილზე გასული გუნდი შემდეგ ტურნირში II ჯგუფში გამოვა, სამაგიეროდ, მის ადგილს დაიკავებს II ჯგუფში გამარჯვებული. II ჯგუფში ბოლო ადგილზე გასული გუნდი გადავა III ჯგუფში, რომლის ნაცვლად მეორეში გადავა III ჯგუფში უძლიერესი.

### გუშინ...

ზორში გაიმართა მორიგი, II ტურის შეხვედრები საქართველოს „ბ" კლასის საუკეთესო ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

ორივე მატჩი დამთავრდა ფრედ. გორის „დილისა" და მახარაძის „მერცხლის" შეხვედრაში არ გატანილა არც ერთი ბურთი — 0:0. რუსთავის „მეტალურგისა" და ლანჩხუთის „გურიის" თამაშში ალიჩიშნა 1:1.

ამრიგად, „დილას" და „მეტალურგს" აქვთ 3-3 ქულა, „გურიას" და „მერცხალს" — თითო, დღევანდელ, დასკვნით ტურს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თამაშობენ „გურია" — „მერცხალი", „დილა" — „მეტალურგი". თამაშები იწყება 13 და 15 საათზე.

## ახალი ამბები

● კიევი, 21 ნოემბერი. დღეს აქ დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი ასეულიან შაშში. შეჯიბრებაში მონაწილეობს 19 სპორტსმენი, მათ შორის, მსოფლიოს ჩემპიონი, რიგელი ა. ანდრეიკო, მსოფლიოს ექს-ჩემპიონები კიეველი ი. კუპერმანი, მოსკოველი ვ. შჩოგოლევი და სხვ.

● მოსკოვი, 21 ნოემბერი. ესპანეთს გაემგზავრნენ მსოფლიოს ჩემპიონი ტ. პეტროსიანი, ამ მაღალი წოდების პრეტენდენტი ბ. სპასკი და დიდოსტატი ვ. კორჩნოი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ დიდ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში. მათ გარდა ამ ტურნირში ითამაშებენ დანიელი ბ. ლარსენი, იუგოსლაველები ს. გლიგორიჩი, ა. მატანოვიჩი, ისლანდიელი ფ. ოლაფსონი, ამერიკელები დ. ბირნი, პ. ბენკო და სხვ.

● ბერლინი, 21 ნოემბერი. მსოფლიო ჩემპიონ ე. ლასკერის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 4 ტურის შემდეგ ლიდერობს საბჭოთა დიდოსტატი დ. ბრონშტეინი — 3,5 ქულა. ამდენივე ქულის დაგროვების შანსი აქვს მეორე საბჭოთა დიდოსტატს ა. სუეტინს, თუ გადადებულ პარტიას მოიგებს.

● ბაქო, 21 ნოემბერი. რუსულ შაშში საკავშირო ჩემპიონატის 7 ტურის შემდეგ ლიდერობს ბაქოელი დიდოსტატი არუსტამოვი, რომელსაც 5 ქულა აქვს. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან კასპაროვი, კუსტარიოვი, გაბრიელიანი და ტიუნევი.

● ბეირუთი, 21 ნოემბერი. მოსკოვის ნაკრების კალათბურთელმა ვაჟებმა ადგილობრივ გუნდთან „აბნა ნეპტუნთან" მოგებით (86:56) დაამთავრეს ტურნე. მათ აქ 5 შეხვედრა გამართეს და ხუთივეში გაიმარჯვეს.

● სოფია, 21 ნოემბერი. ბულგარეთის სახალხო კრების პრეზიდიუმმა ეროვნული სპორტის განვითარების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისა და მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული წარმატებისთვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა ჭიდაობის მწვრთნელს რ. პეტროვს, მოჭიდავეებს: ბ. რადევს, ე. ვილჩევსა და პ. გარჯევს. ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა სპორტის მოწინავეთა დიდი ჯგუფი.

● ჰელსინკი, 21 ნოემბერი. აქ გაიმართა სტუდენტთა საერთაშორისო სპორტული ფედერაციის სხდომა, რომელმაც გადაწყვიტა ზაფხულის მორიგი უნივერსიადა გაიმართოს მომავალი წლის 27 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე ლისაბონში, ხოლო ზამთრის თამაშებში — ფინეთში 1970 წელს. აქვე მიიღეს დადგენილება სტუდენტ მძლეოსანთა საერთაშორისო ჩემპიონატი მოეწყოს სოფიაში 1969 წლის თებერვალს.

● ვიტებსკი, 21 ნოემბერი. ქალაქის ფიზკულტურელებმა მიიღეს ახალი საჩუქარი. საექსპლოატაციოდ გადაეცა სპორტული კომპლექსი — სპორტთამაშების დარბაზი და აუზი.

## ფრენბურთი ტაიმ-აუტების გარეშე

გუშინ ტალინში გაიხსნა ფრენბურთელთა საერთაშორისო ტურნირი „ვან ტოომასის" პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობენ სსრ კავშირის ჩემპიონი „კალევი", ქვეყნის ექს-ჩემპიონი, ამ ტიტულის თერთმეტგზის მფლობელი ცსკა-ს გუნდი, პოლონეთის პირველობის პრიზიორი — ვარშავის „ლეგია", უმაღლესი ლიგის დებიუტანტი ლუგანსკის „ზვეზდა". სულ ახლახან კი ესტონეთის დედაქალაქში ქვეყნის უძლიერესი პროფკავშირული გუნდების დათვალიერება მოეწყო. ტურნირი მოიგო რიგის „რადიოტექნიკამ", რომელმაც „მშრალი" ანგარიშით (3:0) მოუგო ყველა მეტოქეს, მათ შორის „კალევსაც".

როგორც კი ამ პრიზის გათამაშება დამთავრდება, დაიწყება ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და ბელორუსიის გუნდების ტურნირი და მასში „კალევიც" მიიღებს მონაწილეობას. როგორც ხედავთ, ჩემპიონი გულდასმით ემზადება თავისი ტიტულის დასაცავად. ახლა ეს ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული კოლექტივია უმაღლეს ლიგაში: მოთამაშეთა საშუალო ასაკი 22 წელია. ორი ვეტერანი ტალინის ერთ-ერთი სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატის აღზრდილებმა შეცვალეს. მათ სერიოზული გამოცდა ელით: 8 დეკემბერს იხსნება „ა" კლასის ვაჟთა გუნდების 31-ე საკავშირო ჩემპიონატი. შეჯიბრება 1969 წლის აპრილამდე გაგრძელდება ტაიმ-აუტების გარეშე. ტურნირის 12 მონაწილემ 44 შეხვედრა უნდა გამართოს (თვითეულ მეტოქესთან ორ-ორი მატჩი საკუთარ და უცხო მინდორზე). სულ 264 მატჩი გამოდის.

ვინ ჩაებმება ახალ ბრძოლაში? „კალევს" გარდა ითამაშებენ ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა), ბრინჯაოს პრიზიორი „რადიოტექნიკა", აზინხი (ბაქო), „ბურევესტნიკი" (ხარკოვი), ასკ (დონის როსტოვი), ცსკა, „ლოკომოტივი" (კიევი), „ბურევესტნიკი" (ოდესა), „ბურევესტნიკი" (მოსკოვი), მოსკოვის „დინამო", რომელმაც ლუგანსკის ამასწინანდელ ტურნირში შეინარჩუნა უძლიერესთა შორის დარჩენის უფლება და „ზვეზდა".

სხვათა შორის, ლუგანსკის ეს გუნდი, შეიძლება ითქვას, სახელოვანი ახალბედაა. მის შემადგენლობაში გამოდის მეხიკოს ოლიმპიური ტურნირის ერთ-ერთი პოპულარული მოთამაშე, ბომბარდირი ვ. ბელიაევი. რასაკვირველია, იგი ამხანაგებთან ერთად ეცდება ახალი დიდება მოუტანოს თავისი ქალაქის გუნდს.

— „რითია თავისებური მომავალი სეზონი?" — ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ქვეყნის ნაკრებისა და ცსკა-ს გუნდის კაპიტანი გ. მონძოლევსკი.

— ეს უფრო მაღალი დონის ჩემპიონატი იქნება, — ამბობს მონძოლევსკი. — გასულ პირველობაში შეხვედრების უმეტესობა გუნდებმა ჩაატარეს ულიდერებოდ, ისინი მეხიკოსთვის ემზადებოდნენ. ახლა ისინი დაბრუნდნენ. ისეთი კოლექტივები, როგორიცაა ალმა-ათის, ხარკოვის, ოდესის „ბურევესტნიკი", კიევის „ლოკომოტივი", ცსკა (თვითეულ ამ გუნდში ორ-ორი ოლიმპიური ჩემპიონია) უფრო ძლიერად ითამაშებენ. თუმცა რიგის „რადიოტექნიკაში" მარტო ერთი „მექსიკელია" — ი. ბუგაენკოვი, ერთი ასეთი ფრენბურთელი ორს უდრის. მეხიკოში იგი საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. „რადიოტექნიკის" გამოსვლები მოწმობს, რომ გულხელდაკრეფილნი არც ბუგაენკოვის პარტნიორები მჯდარან. ჩვენ განზრახული არა გვაქვს შარშანდელ VII ადგილს დავჯერდეთ. ვეცდებით კვლავ გავახსენოთ მაყურებელს არმიული ფრენბურთის ძველი დიდება.

მე ვფიქრობ, მომავალი ჩემპიონატი დინამიური და რაციონალური ფრენბურთის შერწყმის ძიების ნიშნით ჩატარდება, — თქვა დასასრულ მონძოლევსკიმ.

...აპრილი შეაჯამებს ფრენბურთელთა „შინაური ბრძოლის" შედეგებს და ამ თამაშის მილიონობით მოყვარულის ყურადღებას კვლავ საერთაშორისო კალენდარი მიიპყრობს. მაისში სსრ კავშირის ნაკრები ურუგვაის გაემგზავრება ხუთი კონტინენტის შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. სექტემბერში უძლიერესი ეროვნული გუნდები გდრ-ში შეიკრიბებიან მსოფლიოს თასის ბედის გადასაწყვეტად. „კალევი" ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამოვა. 5 და 19 იანვარს იგი მერვედფინალში შეხვდება შვეციისა და ფინეთის ჩემპიონთა მატჩში გამარჯვებულს.

ასეთივე დაძაბული იქნება ფრენბურთელ ქალთა სეზონი. მათი ჩემპიონატი 4 იანვარს დაიწყება და ივნისში დამთავრდება. ჯერ 12 გუნდში (ორ წრედ) გამოვლინდება რვა უძლიერესი, შემდეგ ეს რვა გუნდი (ისევ ორ წრედ) გამოავლენს ქვეყნის ჩემპიონსა და დანარჩენ პრიზიორებს.

ევროპის ჩემპიონთა თასის მეცხრე გათამაშებაში „დიდი კრისტალის" პრიზზე მონაწილეობას მიიღებს ორი საბჭოთა გუნდი: ამ პრიზის ამჟამინდელი მფლობელი „დინამო" (მოსკოვი) და სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონი, ცსკა-ს ფრენბურთელ ქალთა გუნდი. 9 და 23 თებერვალს დინამოელები ბუდაპეშტის „უიპეშტს" შეხვდებიან, ცსკა კი იმავე დღეებში ითამაშებს ბაზელის უნივერსიტეტის გუნდთან.

ა. კალაბაშკინი (საკდესი).

## ლიდერობს მსოფლიო ჩემპიონი

გორი, 21 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის საჭადრაკო მემორიალზე დღეს გაიმართა VI ტური.

მსოფლიოს ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა თავის „ნადავლს" კიდევ ერთი ქულა მიუმატა, ამჯერად მან ზ. მიქაძე დაამარცხა. საინტერესო ბრძოლის შემდეგ დიდოსტატ ე. გელერისა და რ. ჯინჯიხაშვილის პარტიაში გაიმარჯვა პირველმა. ე. გუფელდმა მოუგო ლ. გრიგორიანს, ხოლო ი. ჩიქოვანმა — ა. ბოკუჩავას.

გ. მუკნიაშვილ — ბ. გურგენიძის პარტია გადაიდო, ხოლო მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ტალისა და ე. უბილავას პარტია არ შედგა.

6 ტურის შემდეგ ლიდერობს გაფრინდაშვილი, რომელსაც 4 ქულა აქვს. დიდოსტატ ტალს 3,5 ქულა აქვს, ოღონდ ხუთიდან.

ხვალ გაიმართება VII ტური.

## ბრძოლისა და მეგობრობის მატჩზე

მოსკოვისა და თბილისის უნივერსიტეტების მძლეოსანთა მატჩი კარგა ხანია ტრადიციად იქცა. წინა სამ შეხვედრაში მოსკოველებმა იმარჯვეს. მეოთხე მატჩი ამას წინათ თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა და ამჯერად იგი მასპინძლებმა მოიგეს.

სსრ კავშირის რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში, მეხიკოდან ახლახან დაბრუნებული სპორტის ოსტატი გ. გუდაშვილი ასპარეზობამდე კარგა ხანს ავარჯიშებდა მომავალ მეტოქეს ნ. იონკინს. სტუმარიც კმაყოფილი დარჩა, ვინაიდან, როგორც თვითონ გვითხრა, თბილისში თავისი პირადი შედეგი მან თითქმის ერთი მეტრით გაზარდა.

მატჩის გმირი გახლდათ სპორტის ოსტატი გ. კონონენკო, რომელმაც სამ სახეობაში მოიპოვა პირველობა. იგი უძლიერესი იყო 100 მეტრზე რბენაში (12,4), 80 მეტრზე თარჯრბენსა (11,6) და სიგრძეზე ხტომაში (5,58 მ). გ. გუდაშვილის ბადრო 58,59 მეტრზე დაეცა. მან დაიმსახურა სპეციალური პრიზი „საუკეთესო შედეგისთვის". ქალებში ასეთივე ჯილდო მიიღო მოსკოველმა ნ. ლიხინამ, რომელმაც 200 მეტრი 25,8 წამში გაირბინა.

სტუმრებმა მოიგეს პროგრამის კიდევ 7 სახეობა: გ. გუშჩინმა 100 მეტრზე 11,2 აჩვენა, ნ. ცეტკოვამ ბირთვი 14,21 მეტრზე ჰკრა. ნ. რუსანოვსკის ურომ 57,86 მეტრი იფრინა, ნ. იონკინმა კი შუბის ტყორცნაში 57,80 აჩვენა. ლ. ბუშინამ ყველას აჯობა ბადროს ტყორცნაში — 37,19, ე. ავდოკუშინმა 1500 მეტრზე რბენაში — 4.08,9, ნ. შვაიცმა შუბი 45,57 მეტრზე ტყორცნა.

სამაგიეროდ, მასპინძლები 15 სახეობაში პირველობდნენ: ათჭიდში სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონმა ი. დიაჩკოვმა გაიმარჯვა 110 მეტრზე თარჯრბენში — 15,4, სპორტის ოსტატმა მ. ოყროშიძემ მოიგო ბირთვის კვრა — 17,11, ზ. ქავზინაძემ 800 მეტრზე რბენა — 1.57,8, ი. ჩირიკაშვილმა სიგრძეზე ხტომა — 701, ლ. შუმილინამ და ი. ბოლქვაძემ — სიმაღლეზე ხტომა — 150 და 185 სმ. ე. გაბარაევმა 200 მეტრის გარბენას 22,9 წამი მოანდომა. მ. ფრიდმანმა სამხტომში 14,61 მ აჩვენა, ხოლო ვ. ზუბკო ჭოკით 390 სმ-ს გადაევლო. თბილისის უნივერსიტეტის სპორტსმენები პირველობდნენ ესტაფეტებშიც.

მეოთხე მატჩის საერთო ანგარიშია 148:121 მასპინძლების სასარგებლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა






# ბოლო გასროლები

ავჭალის სასროლეთზე დამთავრდა რესპუბლიკური ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. ბოლო შეჯიბრებები მოეწყო „გაქცეულ ირემზე", მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე და არმიული შაშხანით სტანდარტზე სროლაში.

„გაქცეულ ირემზე" 50 ერთმაგი გასროლით ყველაზე მეტი (222) ქულა მოაგროვა უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა, საერთაშორისო სპორტის ოსტატმა გ. თავდიდიშვილმა. სხვათა შორის, მას ბოლო ტყვია არ გაუსროლია (თოფის საკეტი უსწოროდ დაკეტა), მაგრამ მაინც ორი ქულით აჯობა დ. ლუაშვილსა (თბილისი) და ლ. სიდამონიძეს (ქუთაისი), რომელთა შორის მეორე ადგილის ბედის გადასაწყვეტად დაინიშნა დამატებითი სერია. აქ ლუაშვილმა იმარჯვა. გუნდურ ჩათვლაში თბილისელთა ოთხეულმა (თავდიდიშვილი, ს. ქუსიკაშვილი, გ. ბექთაშევი, გ. ბოსტოლანაშვილი) გაიმარჯვა როგორც 50 ერთმაგ, ისე 25 ორმაგ გასროლაში.

25 ორმაგ გასროლაში პირადი პირველობა წილად ხვდა ბექთაშევს — 221 ქულა. მან 2 ქულა მოუგო თავდიდიშვილს. III ადგილზე გავიდა ქუთაისელი ოსტატი ვ. სამოილენკო — 216.

ერთმაგი და ორმაგი გასროლების ჯამში ჩემპიონი გახდა თავდიდიშვილი — 441 ქულა. II ადგილზე გავიდა ბექთაშევი — 434, III ქუსიკაშვილი — 431.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სწრაფსროლაში 30 გასროლის შემდეგ დაწინაურდა ქუთაისელი სპორტის ოსტატი ტ. კობოსნიძე, რომელმაც 300-დან 280 ქულა მოაგროვა და 3 ქულით ჩამოიტოვა თბილისელები ო. კუდრიავცევა და მ. ღვინერია. მაგრამ მეორე 30 გასროლამ უპირატესობა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს კუდრიავცევას მოუტანა — 289 ქულა. ეს საკმარისი აღმოჩნდა საერთო პირველობის დასაკუთრებისთვის — 570. კობოსნიძე II ადგილს დასჯერდა (559), III პრიზიორის სახელი მოიპოვა ღვინერიამ — 554. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისის სამეულმა (კუდრიავცევა, ღვინერია, ტ. მერკინა) — 1621 ქულა.

ვაჟებში 30 გასროლის შემდეგ მ. ჟამურაშვილი და ე. კარტაშიანი (ორივე — თბილისი) ლიდერობდნენ, თვითეულმა 294 ქულა მოაგროვა, მაგრამ შეჯიბრების მეორე ნახევარმა უპირატესობა ჟამურაშვილს მოუტანა. მან ამჯერად კარტაშიანს 3 ქულით აჯობა, საბოლოოდ 588 ქულა აჩვენა და ჩემპიონობა დაისაკუთრა. III ადგილზე გავიდა ვ. სტრეკალოვი (ქუთაისი) — 582. გუნდური პირველობა თბილისელებმა (ვ. სალუქვაძე, ჟამურაშვილი, კარტაშიანი, თ. ჩიკვილაძე) მოიგეს.

არმიული შაშხანით სტანდარტზე წოლილა სროლა მოიგო თბილისელმა ვ. სკრინიკოვმა (200-დან 191 ქულა). ჩოქილა შეჯიბრებაში ყველას აჯობა მისმა თანაგუნდელმა ლ. ოსტრიკოვმა—სკრინიკოვის მაჩვენებელი გაიმეორა. დგომელა სროლაში პირველი იყო ე. აბაჯიანი (თბილისი) — 179. სტანდარტზე ჩემპიონი გახდა ოსტრიკოვი — 549. გამარჯვებულს 5 ქულით ჩამორჩა სკრინიკოვი, III იყო ს. მალიუტინი — 543. გუნდურ ჩათვლაში რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა თბილისელთა კვარტეტმა (ოსტრიკოვი, აბაჯიანი, ა. მარუთიანი, ი. შპაჩენკო).

შვიდდღიანი ასპარეზობის შედეგად საერთო გუნდური პირველი ადგილი და გარდამავალი თასი დაისაკუთრა თბილისის კოლექტივმა, რომელმაც 26.081 ქულა დააგროვა. II ადგილზე გავიდა აფხაზეთი — 24.919, III — ქუთაისი — 22.684.

**თ. ლეკიშვილი,**
სპორტის ოსტატი.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნიდან — გ. თავდიდიშვილი, ო. კუდრიავცევა, მ. პაპავა და ლ. ჟურული.

ფოტო ავტორისა.

# ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს

„ლელოში" უკვე გამოჩნდა ცნობები იმის თაობაზე, თუ როგორ სრულდება ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმები რაიონებში, ქალაქებში, სპორტსაზოგადოებებში. დაიბეჭდა ზუგდიდის, ორჯონიკიძის, გარდაბნის რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების თავმჯდომარეების კ. ხორავას, ა. მაჭავარიანის, ვ. ნუცუბიძის, „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის ვ. ჟღენტის, „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის გ. ცქიტიშვილის პატაკი გეგმებისა და ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულების თაობაზე. „კოლმეურნიდან", მაგალითად, გვატყობინებდნენ, რომ წლეულს ამ საზოგადოების კოლექტივებში მომზადდა 3214 მეორეთანრიგოსანი და უფრო მეტი მესამე თანრიგის სპორტსმენი, „ბურევესტნიკის" ორგანიზაციებში აღიზარდა 1110 მეორე და 3400 მესამეთანრიგოსანი. მეორე და მესამე თანრიგის სპორტსმენთა მომზადების საქმეში ასეთივე კარგი მაჩვენებლები აქვთ სპორტსაზოგადოებების სხვა საბჭოებსაც. მისასალმებელია, რომ გეგმები არა რომელიმე ცალკეული, არამედ რამდენიმე სახეობის, მათ შორის, მძლეოსნობის ხარჯზე სრულდება.

წინა წლებში სპორტსაზოგადოებების, უწყებების მუშაკები, ფიზკულტურული კოლექტივების ხელმძღვანელები საქალაქო და რესპუბლიკურ ფედერაციებს საყვედურობდნენ, მეორე და მესამეთანრიგოსნებისთვის ტურნირები არ იმართება, რაც სპორტსმენთა დაინტერესებას ანელებს, მაღალთანრიგოსანთა აღზრდას აფერხებსო. საყვედური უსაფუძვლო როდი იყო. თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ალბათ ეს სამართლიანი მოთხოვნები გაითვალისწინა, როცა მძლეოსნობაში მეორე და მესამეთანრიგოსნების საქალაქო ტურნირის გამართვა გადაწყვიტა. სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს დროულად დაუგზავნეს დებულება, რომლის თანახმად ყველას 100-100 ჩამთვლელი მონაწილე უნდა გამოეყვანა ნებისმიერ სახეობაში.

ტურნირის დაწყების ვადა მოახლოვდა, ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტში კი განაცხადებს ამაოდ ელოდნენ. მხოლოდ „სპარტაკისა" და „განთიადის" საბჭოები მოეკიდნენ გულისხმიერად ამ სასარგებლო ღონისძიებას. „დინამომ" მილიციის სკოლის რამდენიმე მძლეოსანი გამოიყვანა, პირად ტურნირში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა, აგრეთვე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ქალაქის განათლების განყოფილების, გლდანის სპორტსკოლა-ინტერნატისა და საქართველოს პროფსაბჭოს სპეციალიზებული მძლეოსნური სპორტსკოლის რამდენიმე აღსაზრდელმა. ეს იყო და ეს. საინტერესო შეჯიბრებას რატომღაც თავი აარიდეს „ბურევესტნიკის", „ლოკომოტივის", ასკ-ს, „შრომითი რეზერვების" საბჭოებმა, რომლებმაც ვერ შეძლეს გუნდების დაკომპლექტება. ეს ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ მეორე და მესამეთანრიგოსანთა მომზადების წლევანდელი გეგმების შესრულებაში სიყალბეა. განსაკუთრებით გვაოცებს პოზიცია „შრომითი რეზერვებისა". ამ საზოგადოებას თბილისში ათობით პროფტექნიკური და სხვა ტიპის სასწავლებელი აქვს. „შრომითი რეზერვების" წარმომადგენლებს ხშირად უთქვამთ, რომ ამ სასწავლებლებში სწავლების ვადა დიდი არ არის და ამის გამო ოსტატების და მაღალთანრიგოსნების მომზადება უჭირთ. ამიტომ ვერ ვმონაწილეობთ რესპუბლიკურ ჩემპიონატებშიცო. ახლა რამ შეუშალათ ხელი, ან „ბურევესტნიკში" რითი იმართლებენ თავს? ნუთუ უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ, ფიზკულტურის, უცხო ენების, პედაგოგიურ და სხვა ინსტიტუტებში წლეულს იმდენი მეორე და მესამეთანრიგოსანი მძლეოსანი ვერ მოამზადეს, რომ ერთი გუნდი მაინც დაეკომპლექტებინათ?

გვაოცებს თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმის პოზიციაც. „ლოკომოტივის" მძლეოსნობის მწვრთნელის ვ. სუხოტინის მრავალგზის გაფრთხილების მიუხედავად, აქ მძლეოსანთა ერთი ჯგუფიც კი ვერ შექმნეს, რომელიც საქალაქო ტურნირში ჩაებმებოდა. ცხადია, „ბურევესტნიკის", „შრომითი რეზერვების", „დინამოს", არმიის სპორტკლუბის, „ლოკომოტივის" ფიზკულტურის კოლექტივებში არაფერს აკეთებენ მძლეოსნობის რეზერვის აღზრდისათვის. არადა, საოცარია, რომელი სახეობების წყალობით შეასრულეს მეორე და მესამე თანრიგის მძლეოსანთა მომზადების გეგმა-ვალდებულებანი?

ვფიქრობთ, მათზე, ვინც საქალაქო ტურნირს თავი აარიდა, საგანგებოდ იმსჯელებს საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი. სწორედ დღევანდელი II და III თანრიგის სპორტსმენები წარმოადგენენ რეზერვს, რომელმაც სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება უნდა დაიცვას.

მაგრამ თვით შეჯიბრების მონაწილენი სამდურავს ვერ იტყვიან. სუსტი კონკურენციის მიუხედავად, ამას წინათ „დინამოს" სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში ბევრმა პირადი შედეგი გააუმჯობესა, „სპარტაკის" ვაჟთა კვარტეტმა (ი. ავდალოვი, თ. ჯოხაძე, შ. ჯაბიშვილი, ს. სვისტელნიკოვი) კი 4×100 მეტრზე ესტაფეტაში პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა — 43,8. 16 წლის სვისტელნიკოვმა დამაკმაყოფილებელი შედეგები მოიპოვა 100 მეტრზე (11,3) და 200 მეტრზე (23,1) რბენაში.

შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრების რამდენიმე წევრი უკონკურსოდ გამოდიოდა, მათგან ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია ნ. დავიდენკომ („ბურევესტნიკი"), რომელმაც 3 კილომეტრზე რბენაში 8.16,4 აჩვენა და 16 წამით გააუმჯობესა თავისივე რესპუბლიკური რეკორდი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „სპარტაკმა". II ადგილზე გავიდა „განთიადი", III — „დინამო".

**ნ. გიგოლაშვილი.**

# ფეხბურთი... უმინდვროდ

გაგიგიათ ფეხბურთი უმინდვროდ? არა? მაშ მიბრძანდით თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ფეხბურთის ინსპექტორთან ი. ბოჭორაძესთან და ის გაჩვენებთ, თუ როგორ უნდა განავითარო ფეხბურთი, შეიტანო იგი მასებში, ჩაატარო ჩემპიონატიც, თასიც და სხვა შეჯიბრებებიც ისე, რომ არ გაგაჩნდეს სათამაშო მინდორი, არ გქონდეს მწვანე ბალახით აქა-იქ, ქაჩლად მაინც დაფარული მოედანი, რომელიც თუნდაც მინიმალურად იძლეოდეს თამაშების ჩატარების საშუალებას.

თბილისის ფიზკულტურის კომიტეტს თავის განკარგულებაში არა აქვს არც ერთი მეტად თუ ნაკლებად ვარგისი სათამაშო მინდორი, არ შეუძლია საქალაქო შეჯიბრებათა კალენდარი დაგეგმოს ისე, როგორც მას მიაჩნია საჭიროდ და მიზანშეწონილად, გაითვალისწინოს ფაბრიკა-ქარხნების, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისა თუ სხვა კოლექტივების სპეციფიკური თავისებურებანი, რაციონალურად შეურჩიოს მათ თამაშის დრო და არ შექმნას ის სერიოზული შეფერხებანი, რომლებიც ახლაა კალენდარში.

არ არის საფეხბურთო მინდვრები და ესაა. თბილისში საერთოდ არაა სტადიონები. ამას, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, ასეთები ქალაქში არის, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იმყოფება კომიტეტის უშუალო გამგებლობაში, მისი პირდაპირი, ხელმძღვანელობის ქვეშ და ეს უკანასკნელი მხოლოდ დამქირავებლის როლში იმყოფება, ე. ი. უნდა თხოვნით მიმართოს სტადიონების დირექტორებს, დაკმაყოფილდეს იმ დღეებით და საათებით, რომელსაც მას „უწყალობებენ" სპორტული ბაზების მფლობელნი. საკუთარი კორექტივების შეტანა ამ გრაფიკში მას არ შეუძლია.

თბილისის საფეხბურთო ჩემპიონატს ათეული წლების მდიდარი და მყარი ტრადიცია აქვს. ვინ მოთვლის, რამდენი პირველხარისხოვანი გუნდი მონაწილეობდა მასში, რამდენი საინტერესო შეჯიბრება ჩატარებულა, რამდენი საუკეთესო ფეხბურთელი აღზრდილა. იყო დრო, როცა საქალაქო მასშტაბის გადამწყვეტ მატჩებზე ათასობით მაყურებელი მოდიოდა.

ახლა თბილისურ ფეხბურთს უჭირს და უჭირს სერიოზულად. იგი მძიმე კრიზისის პერიოდშია და მთელი რიგი გადაუდებელი პრობლემების წინაშე იმყოფება. მეტი რა ვილაპარაკოთ, როცა საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სათუოა ქალაქის ჩემპიონატის მეორე წრის დამთავრების საქმე.

პირველი და უმთავრესი, როგორც ვთქვით, არის სათამაშო მინდვრების უქონლობა.

სად ტარდება საქალაქო ჩემპიონატის მატჩები? უმთავრესად „ისნისა" და არმიის სპორტკლუბის სტადიონებზე, მაგრამ ეს ბაზები თავიანთ მინდვრებს მხოლოდ განსაზღვრულ დღეებში, თავიანთი გრაფიკით უთმობენ დროს ქალაქის კომიტეტს და პატარა ავდარიც კი საკმარისია, რომ სათამაშოდ მისულ გუნდებს ცივი უარით მიუკეტონ კარი.

ერთადერთი სტადიონი, რომელიც მუდამ ღია იყო საქალაქო ღონისძიებებისთვის, გახლდათ მაუდ-კამვოლის კომბინატისა. ავი იყო თუ კარგი, ეს მინდორი შველას წარმოადგენდა შეჯიბრებათა ორგანიზატორებისთვის, მაგრამ იგი საკმარისზე მეტი ხანია რემონტში იმყოფება, ველარ ემსახურება ფეხბურთელებს და აქაური სამუშაოების ეს მარათონული გაჭიანურება მძიმე დაღად აჩნია თბილისის პირველობის მსვლელობას.

იყო კიდევ ერთი სტადიონი, რომელიც ხალისით უღებდა კარს ქალაქის გუნდებს. ეს გახლდათ შამპანური ღვინოების ქარხნის ბაზა. აქ დილიდან დაღამებამდე დუღდა საფეხბურთო ცხოვრება, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს კომპლექსი სპორტკლუბ „სინათლეს" გადაეცა, თამაშების ჩატარება ისეთ სირთულედ იქცა, რომ ბაზა ფაქტიურად გამოეთიშა ქალაქის საფეხბურთო ცხოვრებას — „სინათლის" სტადიონზე „უცხოებს" არ უშვებენ.

მაგრამ მარტო ბაზების სიმცირით (უფრო სწორედ, უქონლობით) ვერ ავხსნით თბილისური ფეხბურთის გასაჭირს. არის სხვა დილემაც, კერძოდ, მსაჯებისა. მაღალი კვალიფიკაციის თბილისელ მსაჯებს ნახავთ „ა" კლასის უმაღლესი ლიგისა და II ჯგუფის მატჩების არბიტრთა როლში, „ბ" კლასის საქართველოს პირველობის თამაშებზე, საქალაქო შეჯიბრებათა მომსახურებისთვის კი მათ ვერ მოუცლიათ. დრო არა აქვთ. ამას ისინი იმ ფილანტროპული მიზნით კი არ აკეთებენ, რომ ახალგაზრდა მსაჯებს მისცენ ვრცელი ასპარეზი და დაწინაურების საშუალება. არა, ასეთ მაღალ იდეებამდე საქმე არ მიდის, უბრალოდ, მაღალი კატეგორიის არბიტრებს არ აინტერესებთ „დაბალი" ფეხბურთი, უხარისხო მსაჯობა კი სერიოზულ სიძნელეებს უქმნის ჩვენს ქალაქში ფეხბურთის შემდგომ განვითარებას.

ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიც თავიანთი მხრივ მაინცდამაინც ვერ გამოირჩევიან სანიმუშო სიზუსტით დანიშნულ მატჩებზე გამოცხადებაში. თამაშებს აცდენენ არა მარტო ე. წ. მეორეხარისხოვანი გუნდები, არამედ ისინიც, ვინც ტონს აძლევს ქალაქის ფეხბურთს და როცა ასეთთა სიაში ხვდები უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი, ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნებისა და სხვა დიდი ობიექტების გუნდებს, ძალიანაც რომ გინდოდეს, თბილისური ფეხბურთის აწმყოსა და მომავალს ვარდისფერი ფერებით ვერ დახატავ.

ყოველთვის ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმისა და მისი კომისიების საქმიანობაც. არაა სათანადო კონტაქტი ფიზკულტურულ კოლექტივებთან, არარეგულარულად ხდება ადრე მიღებულ დადგენილებათა შემოწმება, პრეზიდიუმის წევრებს ნაკლებად ნახავთ საქალაქო პირველობის მატჩებზე და ა. შ.

ერთი სიტყვით, ვერაა საქმე კარგად.

და რომ არ ჩაიშალოს ქალაქის 1968 წლის ჩემპიონატი, თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა რადიკალურ ზომებს უნდა მიმართონ, ხოლო მათ, ვის გამგებლობაშიც იმყოფება სათამაშო მინდვრები, საჭიროა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კალენდრით გათვალისწინებული მატჩების მაღალ დონეზე და დროულად ჩატარებას. საქმე ეხება არა მარტო ქალაქის წლევანდელ პირველობას, არამედ თბილისური ფეხბურთის მაღალ ტრადიციებს.

**ბ. ქორქია,**
თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრადიციის შესაბამისად

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 21 ნოემბერი.
„დინამო" (თბილისი) — თეირანი (ნაკრები) 3:1 (1:0).

„დინამო": ურუშაძე (გოგია), პეტრიაშვილი, კანთელაძე, რეხვიაშვილი, ხოხონელიძე, სიჭინავა (ძოძუაშვილი), კუტივაძე, ასათიანი (ილიაძე), მეტრეველი, გავაშელი, მესხი (გ. ნოდია).

თეირანი: ზელი, აბიბი, კოშონი, არაბი, იოვარი, ალიჩხანი, ჯაბორი, მონოჯოტი, მილეთი, შაფპარი, მუსტაფავი (მეორე ტაიმში თეირანის გუნდში მოხდა რამდენიმე ცვლილება).

მსაჯი თ. ველიევი (ბაქო).

თბილისისა და ირანის ფეხბურთელთა სპორტულ ურთიერთობას საკმაოდ დიდი ხნის ტრადიცია აქვს. დაწყებული 1944 წლიდან თბილისის „დინამო" და ოფიცერთა სახლის გუნდი არაერთხელ ყოფილან ირანში და შინაც მიუღიათ ამ ქვეყნის ნაკრები თუ საკლუბო გუნდები. დინამოელებს უკვე 9 ასეთი შეხვედრა ჰქონდათ ირანელებთან და მათ ანგარიშზე ირიცხებოდა 6 გამარჯვება (3 მატჩი ფრედ დამთავრდა).

თეირანის ნაკრების ამ ბოლო ვიზიტმა დაგვარწმუნა, რომ ირანელ ფეხბურთელთა საერთო კლასი საგრძნობლად ამაღლებულა და დაახლოებია თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტს. მოთამაშეებს კარგი ფიზიკური მომზადება, სისწრაფე და ტექნიკა აქვთ, დიდ დატვირთვას იღებენ თავიანთ თავზე, ნახევარმცველები ხშირად მონაწილეობენ საიერიშო კომბინაციებში, ყოველ შესაფერის მომენტს იყენებენ შორი მანძილიდან კარში დარტყმისთვის. ამიტომ იყო, რომ მასპინძლებს საკმაო ხანი დაჭირდათ ანგარიშის გახსნისთვის, თუმცა საერთო ტერიტორიული უპირატესობა მათ თავიდანვე ჰქონდათ.

პირველი ბურთი გატანილ იქნა 25-ე წუთზე მეტრეველის მიერ. იგი სწრაფად გავიდა რამდენიმე მცველს შორის და ზუსტად დაარტყა კარის შორეულ კუთხეში — 1:0.

სტუმრებმა მარცხს ძლიერი კონტრშეტევებით უპასუხეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ჯაბორი, ალიჩხანი, შაფპარი. ურუშაძეს მოუხდა რამდენიმე ძნელი ბურთის აღება.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა ზედიზედ რამდენიმე ცვლილება მოახდინეს და ამ პერიოდში გუნდის მთლიანობა დაირღვა. დინამოელებმა კარგად გამოიყენეს ეს გარემოება და ჯერ გავაშელმა პეტრიაშვილის გადაცემიდან გაიტანა მეორე გოლი, მერე კი მეტრეველმა ძალზე ზუსტად გამოიყენა ხოხონელიძის მიერ მარცხენა ფლანგიდან მოწოდებული ბურთი—3:0.

ასეთი ანგარიშის მიუხედავად, ირანელი ფეხბურთელები განაგრძობდნენ აქტიურ თამაშს. 75-ე წუთზე „დინამოს" კარში დაინიშნა საჯარიმო. აბიბის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთის აღება ვერ შეძლო მეკარე გოგიამ და ანგარიში გახდა 3:1.

**ე. ტაბუცაძე.**

# „ცუდი მასპინძლები"

ფოთში გაიმართა მოსკოვისა და საქართველოს იუნიორთა მატჩი ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში. ტურნირისთვის გუნდი მოამზადა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა შ. ჭედიამ. მან შეარჩია ნიჭიერი სპორტსმენები, რომლებიც „ცუდი მასპინძლები" გამოდგნენ — 13-დან 11 გაცურვა მოიგეს.

ერთადგილიანი ბაიდარით 500 და 1000 მეტრზე რბოლაში უძლიერესი იყო ლ. ქორიავა, რომელმაც შესაბამისად 2.07.0 და 4.26,8 აჩვენა. ორადგილიანი ბაიდარით რბოლაში მას არც თანაგუნდელები ნ. ენუქიძე და კ. ბაზელკო ჩამორჩნენ. ამ უკანასკნელებმა ჯერ 500 მეტრზე ისახელეს თავი — 1.58,0, შემდეგ კი 1000 მეტრზე — 3.55,0. ერთადგილიანი კანოეთი ამავე დისტანციებზე რბოლაში გაიმარჯვა გ. ადამიამ — 2.16,0 და 4.43,1. ორადგილიანი კანოეთი კი უძლიერესი იყო ნ. ჩარაევ — ვ. ხოფერიას დუეტი (2.02,0 და 4.12,1). საქართველოს გუნდების გამარჯვებით დამთავრდა ესტაფეტებიც 4×500 მეტრზე. ვაჟთა ტურნირში ბაზელკომ, ქორიავამ, ენუქიძემ და ი. კარაბელნიკოვმა საგრძნობლად ჩამოიტოვეს მოსკოველები. კანოებით შეჯიბრებაში კი ჩარაევმა, ხოფერიამ, ადამიამ და თ. ხაგუშმა 1,2 წამით აჯობეს მეტოქეებს.

გოგონებში ერთადგილიანი ბაიდარებით ტურნირი მოსკოველმა ი. მიხაილოვამ მოიგო (2.28,0), ხოლო შემდეგ მანვე ვ. ბეგაშევასთან ერთად გაიმარჯვა ორადგილიანებით ასპარეზობაში (2.22,4). სამაგიეროდ, ესტაფეტაში ლ. ნეოპრიატნაიამ, ნ. ჰასანოვმა, გ. სოკოლოვამ და ლ. ტურკოვსკაიამ იოლად დაამარცხეს მოსკოველები.

**ა. ლომაია.**

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

#### უმაღლესი ლიგის გუნდები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 38 | 32 | 4 | 2 | 94—19 | 68 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 38 | 26 | 6 | 6 | 75—24 | 58 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 38 | 23 | 9 | 6 | 58—26 | 55 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 38 | 23 | 8 | 7 | 73—34 | 54 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 38 | 19 | 7 | 12 | 49—36 | 45 |
| „დინამო" (მინსკი) | 38 | 15 | 10 | 13 | 51—44 | 40 |
| ასკ (როსტოვი) | 38 | 15 | 10 | 13 | 52—50 | 40 |
| ცსკა | 38 | 16 | 7 | 15 | 49—39 | 39 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 38 | 14 | 11 | 13 | 59—52 | 39 |
| „დინამო" (თბილისი) | 38 | 15 | 9 | 14 | 50—50 | 39 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 38 | 11 | 11 | 16 | 42—68 | 33 |
| „არარატი" (ერევანი) | 38 | 12 | 7 | 19 | 55—66 | 31 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 38 | 11 | 9 | 18 | 45—60 | 31 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 38 | 11 | 9 | 18 | 45—74 | 31 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 38 | 12 | 6 | 20 | 44—51 | 30 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 38 | 8 | 13 | 17 | 38—48 | 29 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 38 | 10 | 8 | 20 | 37—58 | 28 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 38 | 10 | 7 | 21 | 43—67 | 27 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 38 | 9 | 7 | 22 | 36—72 | 25 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 38 | 4 | 10 | 24 | 35—92 | 18 |

# უმაღლესი ლიგის საგზურისთვის

**სოჭი.** აქ გრძელდება „ა" კლასის I ჯგუფის პრეტენდენტთა ტურნირი ფეხბურთში. უკვე შედგა II ტურის მატჩები.

I ტურში განცდილი მარცხის შემდეგ ლვოვის „კარპატი" შეხვდა ომსკის „ირტიშს", ძლიერად ჩაატარა თამაში და გაიმარჯვა ანგარიშით 4:0.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სვერდლოვსკის „ურალმაშისა" და ნიკოლაევის „სუდოსტროიტელის" შეხვედრას. სვერდლოვსკელმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:1.

მხოლოდ ერთმა გუნდმა — „ირტიშმა", რომელსაც სულ 1 ქულა აქვს, დაკარგა უმაღლეს ლიგაში გადასვლის იმედი. ბოლო ტურის წინ „ურალმაშს" აქვს 3 ქულა, ხოლო „კარპატსა" და „სუდოსტროიტელს" — 2-2. ყველაფერი გადაწყდება დღეს, ბოლო ტურის შეხვედრებში. თუ ტურნირში გამარჯვებულებს ექნათ ქულათა თანაბარი რაოდენობა, მათ შორის დაინიშნება დამატებითი შეხვედრა.

# ტურნირი გორში

გორში დაიწყო ჩვენი რესპუბლიკის „ბ" კლასის ფეხბურთელთა უძლიერესი გუნდების ფინალური ტურნირი.

გათამაშების პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ რუსთავის „მეტალურგი" და მახარაძის „მერცხალი". მიუხედავად იმისა, რომ წინ იყვნენ მახარაძელები (1:0), საბოლოო გამარჯვება შეინარჩუნა „მეტალურგმა" — 2:1.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა გორის „დილისა" და ლანჩხუთის „გურიის" შეხვედრა. გორელმა ფეხბურთელებმა შეძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება — 2:1.

გუშინ შედგა II ტურის მატჩები.

# წიწილებს შემოდგომით ითვლიან...

გაზაფხულზე საქართველოს მოსწავლეთა ტურნირი ჩატარდა და ამ შეჯიბრებაში 13-14 წლის მძლეოსნები დაუშვეს. მაშინ აღმოჩნდნენ სკეპტიკოსები, რომლებიც ამტკიცებდნენ, ამგვარი ექსპერიმენტი ნაყოფს ვერ მოიტანსო. მოსწავლეთა საშემოდგომო რესპუბლიკურმა პირველობამ ეს აზრი გააქარწყლა.

თბილისის 83-ე სკოლის მერვეკლასელმა მ. ალიაკრინსკაიამ სამი გამარჯვება მოიპოვა: 60 მეტრი 7,7 წამში გაირბინა, 512 სმ სიგრძეზე გადახტა და 145 სმ სიმაღლე დაძლია, ამასთან, სამივეჯერ მოზრდილთა II თანრიგის ნორმატივი აჩვენა. ალიაკრინსკაია 14 წლისაა, მძლეოსნობაში ვარჯიში კი 3 წლის წინ დაიწყო. როგორც ჩანს, ნაადრევმა სპეციალიზაციამ შედეგი გამოიღო. ალიაკრინსკაიას არც მისი თანატოლი, თბილისელი ა. პორტნოვი ჩამორჩა, რომელმაც 60 მეტრი 7,3 წამში გაირბინა. ასეთივე შედეგი აჩვენა გ. ბრეგვაძემაც (თბილისი). ვ. კაკაურიძემ მოიგო პიონერული ოთხჭიდი — 341 ქულა. 13 წლის ხაშურელმა ნ. ლაბაძემ ბადრო 35,72 მეტრზე ტყორცნა და ჩემპიონი გახდა.

ასე რომ, უმცროსებმა საინტერესო ბრძოლაში გამოიწვიეს თავიანთი უფროსი (15-16 წლის) კოლეგები. ვალში არც უფროსები დარჩნენ: თავიანთი ასაკის მოსწავლეთა 2 რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს: თბილისის 85-ე საშ. სკოლის მეათეკლასელმა ე. გაფრინდაშვილმა უროს ტყორცნაში თავის ძველ რეკორდს 6 სანტიმეტრი წაუმატა — 60,70 მ აჩვენა. ბათუმელმა ვ. ფედოსეენკოვამ კი ოთხჭიდში 3289 ქულა დააგროვა, ქუთაისელმა რ. ჩუბინიძემ 80 მეტრზე თარჯრბენში 11,7 აჩვენა და თბილისელ ლ. ზვონიკოვას რესპუბლიკური რეკორდი გაიმეორა. ჩუბინიძემ პირველად შეასრულა მოზრდილთა პირველი თანრიგის ნორმატივი.

პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა ფოთელმა მოსწავლემ ლ. ფარცვანიამაც, რომელმაც 100 მეტრზე გოგონათა გარბენში 12,4 აჩვენა. აქ ჩემპიონობა წილად ხვდა ბათუმელ ვ. გოლობოროდკოს. ფინალში მან ეს მანძილი 12,5 წამში დაფარა. გოლობოროდკომ მოიგო 200 მეტრზე რბენაც — 26,0. სიმაღლეზე ხტომაში მოზრდილთა პირველი თანრიგის შედეგით გაიმარჯვა ვ. უზმორსკიმ (თბილისი) — 190.

ამ ტურნირში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელებმა. ვფიქრობთ, აჯობებდა 13-14 წლის ბავშვებისთვის შეჯიბრება ცალკე გამართულიყო. მართალია, ეს ერთგვარ ფინანსურ სიძნელესაც გამოიწვევდა, მაგრამ რეზერვის მომზადებისათვის ასეა საჭირო. კარგი იქნება ცალკე გაიმართოს მრავალჭიდელთა ტურნირებიც (სხვა რესპუბლიკების მსგავსად).

ზემოაღნიშნული შეჯიბრება ოქტომბერში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ რატომღაც რამდენჯერმე გადაიდო და ბოლოს ერთი ტურნირის მოსაწყობად ადგილიც ვერ შეირჩა (შეჯიბრება ლენინის სტადიონის და ფიზ. ინსტიტუტის მოედნებზე ტარდებოდა). ამან ასპარეზობისადმი ინტერესი შეანელა და მსაჯებსაც საქმე გაურთულა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს: პირველ ჯგუფში — თბილისის, მეორეში — ფოთის, მესამეში — დუშეთის გუნდებმა.



**ვ. ბუკინი.**

ქვემოთ მოგვყავს სხვა გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები: **13-14 წლის გოგონები. 300 მ რბენა** — ტ. ივანოვა (თბილისი) — 45,4; **60 მ თარჯრბენი** — თ. დრიაევა (თბილისი) — 9,2; **ბირთვის კვრა** — ც. გოგოჭური (დუშეთი) — 11,04; **პიონერული ოთხჭიდი** — დ. აბზიანიძე (ქუთაისი)—328, **15-16 წლის გოგონები. 400 და 600 მ რბენა**—ლ. ჭარბაძე (თბილისი) — 1.01,8 და 1.44,6; **სიმაღლეზე ხტომა** —ი. მარადუდინა (აფხაზეთი)—145; **ბადროს ტყორცნა** — ო. შტუკატუროვა (აჭარა) — 34,50; **შუბის ტყორცნა** — ა. ბაბაიანი (თბილისი) — 31,10; **ბირთვის კვრა** — ლ. დენისოვა (თბილისი) — 10,62; **სიგრძეზე ხტომა** — ნ. ალექსეევა (აფხაზეთი) — 5,35.

**13-14 წლის ბიჭები. 600 მ რბენა** — პ. რიჟოვი (თბილისი) — 1.37,2; **60 მ თარჯრბენი** — ა. ქურცუა (ჩოხატაური) — 8,8; **სიგრძეზე ხტომა** — ვ. პლიევი (თბილისი) — 5,57; **სიმაღლეზე ხტომა** — ა. ჭელიძე (ზესტაფონი) — 160; **ბადროს ტყორცნა** — ნ. ქებაძე (სამხრეთ ოსეთი) — 43,78; **ბირთვის კვრა** — გ. ბედოშვილი (თბილისი) — 11,55; **3 კმ სპორტული სიარული** — დ. ბაგიროვი (თბილისი) — 19.31,0. **15-16 წლის ვაჟები. რბენა 400 მ** — დ. სავიჩევი (თბილისი) — 53,5; **800 მ**— ა. დმიტრიევი (აფხაზეთი) — 2.05,0; **110 მ თარჯრბენი** — ა. შუბინი (თბილისი) — 16,1; **სიგრძეზე ხტომა** — ვ. ომელჩენკო — 6,45; **სამხტომი** — ა. ვლასოვი — 13 მ, **ჭოკით ხტომა** — ვ. ამოსოვი — 3.50; **შუბის ტყორცნა** — გ. ამირხანიანი — 55,88; **ბირთვის კვრა** — ნ. ევდოკიმოვი (ყველა — თბილისი) — 13,52; **ბადროს ტყორცნა** — ვ. სამხარაძე (გლდანის ინტერნატი, პირადი) — 42,16; **5 კმ სპორტული სიარული** — ვ. სანიკიძე (თბილისი) — 25.05,2; **რვაჭიდი** — ს. აბოიანი (აჭარა) — 4362.

* * *

**სურათებზე:** მარცხნივ — ე. გაფრინდაშვილი, მარჯვნივ — ვ. ფედოსეენკოვა.



ფოტო ავტორისა.

# ვანო აბულაძე — ქიზიყელი





ქართული სპორტის სარბიელზე ბევრი ფალავანი გამობრწყინებულა, რომელთა სახელები ლეგენდად იქცა და დიდი სიყვარულით გადაეცემა თაობიდან თაობებს. ამ ფალავნებმა დიდი ამაგი დასდეს ქართული ეროვნული სპორტის განვითარებას და მის პოპულარიზაციას. დღეს გვსურს სწორედ ერთ-ერთ მათგანზე გიამბოთ.

სახელოვან ქართველ ფალავანთა პლეადაში ბრწყინავს ვანო აბულაძე — ქიზიყელი. იოსებ იმედაშვილი იგონებს: „ვანო ქიზიყელი, იგივე კამბეჩუა — ივანე დიმიტრის ძე აბულაძე იყო ჯერ საქართველო—ამიერკავკასიის, შემდეგ რუსეთის, ბოლოს მსოფლიო მოჭიდავე ჩემპიონი, ჰერკულესად წოდებული, მრავალი ჯილდოთი დასაჩუქრებული..."

ქართული ჭიდაობის მოტრფიალეებს, ამ წაუქცეველი გოლიათის თანამედროვეებს, არ სწყინდებათ ვანო ქიზიყელის გახსენება. მ. თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი, 80 წლის ხის მოჩუქურთმე, ჭიდაობის დიდი მოტრფიალე დ. გოზალიშვილი იგონებს: „ვანო ქიზიყელი?.. — მას ვინ არ იცნობდა! მასეთი მოჭიდავე იშვიათად იბადება... ვანო ქიზიყელი, რომელსაც უფრო კამბეჩუას (რადგან კამბეჩის ძალა ჰქონდა) მეტსახელით იცნობდნენ, იმ თითებზე ჩამოსათვლელ ფალავანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც მარცხის სიმწარე არ განუცდიათ..."

მართლაც, ამ ახოვანმა ვაჟკაცმა რუსეთი და მაშინდელი სპორტული მსოფლიო (საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, ესპანეთი, იაპონია, ჩინეთი, მონღოლეთი, ავღანეთი, სპარსეთი, ამერიკა, თურქეთი და სხვა ქვეყნები) ისე შემოვლო, რომ ყველგან დიდი აღიარება ჰპოვა.

ვანო აბულაძე 1872 წელს დაიბადა ქიზიყის სოფელ ჯუგაანში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მძიმე ბავშვობა ჰქონდა. ათი წლისა იყო, მშობლები რომ დაეხოცა და იძულებული გახდა ღამის მეხრეობა, მეცხვარეობა, მეძროხეობა დაეწყო. ბავშვობაშივე ისე გაიწაფა ჭიდაობაში, ტოლებში ბადალი არ ჰყავდა.

1887 წელს ვანო თბილისს ეწვია თავისი განუყრელი ფანდურით. პირველ ხანებში დღიურ მუშად მუშაობდა, შემდეგ კი ღვინის სარდაფში დადგა მოჯამაგირედ.

იმ დროისთვის თბილისელ მდაბიოთა გასართობი ჭიდაობა ყოფილა. თავისუფალ დროს ისინი ხან მახათაზე, ხან ფიქრის გორაზე, ხან ნაძალადევში და ვერაზე იკრიბებოდნენ და ჭიდაობას გააჩაღებდნენ ხოლმე. სწორედ აქედან დაიწყო ვანო ქიზიყელის სპორტული კარიერა. ერთ ასეთ ჭიდაობას ვანოც დასწრებია მეგობრებთან ერთად. როცა მათი ფალავანი წაუქცევიათ, დაღონებულ მეგობრებს ვანოსთვის უთხოვიათ, იქნებ შენ სცადო და სირცხვილიდან ამოგვიყვანოო!.. ვანოს უჭიდავია და წაუქცეველი არავინ დაუტოვებია.

აღსანიშნავია ერთი შემთხვევა. 1900 წელს თბილისს ნიკიტინის ცირკი სწვევია. აქ გამოდიოდნენ კავკასიის გამოჩენილი მოჭიდავეები, რომელთაც ხალხიდან მედიდურად გაუწვევიათ მოჭიდავენი — ვისაც გული გერჩით, გამობრძანდითო. ამ დროს ცირკში ვანო აბულაძეც ყოფილა. მეგობრები შემოხვევიან: აბა, შენ იცი, ქიზიყელო, და შენმა ვაჟკაცობამ, თუ სირცხვილს არ გვაჭმევო. ვანომ ცირკის მკვეხარა მოჭიდავე თვალის დახამხამებაში მიწაზე გაშხლართა თურმე... იმ დღეს მან რამდენიმე სახელგანთქმული მოჭიდავე გააკრა ხალიჩას.

ცირკის საქმოსნები დატრიალდნენ, ეს კაცი როგორმე ხელიდან არ გავუშვათო. ვანო ქიზიყელს ამიერკავკასიის ფალავნის სახელი მიანიჭეს და თავიანთ დასში დიდი პატივით ჩარიცხეს. ვანომ ცირკთან ერთად მოვლო ამიერკავკასიის ქალაქები, მოიპოვა პირველი ხარისხის პრიზები და ბევრი საგანგებო საჩუქარი დაისაკუთრა. სხვათა შორის, ამ პერიოდში ვანო ქიზიყელი კულა გლდანელისა და ნესტორ ესებუას ჯგუფებშიც გამოდიოდა.

ამავე ხანებში დაუახლოვდა ვანო სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასაც. იგი არალეგალურად ცხოვრობდა ბაქოში. სწორედ აქ პროფ. ლებედევთან ისწავლა მან ფრანგული, რუსულ-შვეიცარული, თავისუფალი, ამერიკული, იაპონური, ჩინური და სხვა ჭიდაობის ხერხები, სიმძიმეთა აწევის წესები...

აქედან დაიწყო ქიზიყელის ტრიუმფალური გამარჯვებები სპორტული მსოფლიოს გზებზე. 25-30 წლის მანძილზე მას დამარცხებული ჰყავს თითქმის ყველა სახელგანთქმული, მსოფლიოში აღიარებული მოჭიდავე, მათ შორის: ამერიკელი არაბი ჟაკ ლევისი, ჰოლანდიის ჩემპიონი ლურიხ II, მსოფლიო პირველობის დამჩემებელი გეორგ ლუნდი, ევროპის ჩემპიონი იან იააგო, ბუხარის ემირის სასახლის ფალავანი ხ. კალინკინი, რომლის დამარცხებისათვის ემირმა ვანო ქიზიყელს ოქროს მედალი ჩამოჰკიდა, იმიერკასპიის მხარის ებრაელი ფალავანი — ლიკელმანი, საბერძნეთის ჩემპიონი — ჯაჭვთა მეფე, ათლეტი აპოსტულუს აპოსტულუ, რუსეთის ჩემპიონი ი. ჩერნიშევი, გოლიათი საცურა, სპარსეთის მოჭიდავე ყარაალი, სომეხი ფალავანი შაბლოიანი, რომელმაც ვანო აბულაძეს შესტირა: რაც ვჭიდაობ, ჯერ არ დავმარცხებულვარ, და რად გამაფუჭეო, ჩემპიონი ნ. ვახტუროვი, ა. ბოგატირიოვი და მრავალი სხვა.

ვანო აბულაძემ არ იცოდა, რა იყო შიში მეტოქის წინაშე. ერთხელ მინსკში, ტრუცკის ცირკში, საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა იმ დროის მსოფლიოში სახელგანთქმულმა მოჭიდავემ კალოტინმა მთელი ჩემპიონატის მონაწილენი რინგზე დაამწკრივა, თითოზე ხუთასი მანეთი ნაძლევი დასდო და გამოაცხადა: — ვისაც არ გეშინიათ, გამოდითო. ყველა შეშინდა. მხოლოდ ვანო აბულაძე გავიდა და მეტოქეს ისეთი დღე დააყენა, რომ ღონემიხდილი კალოტინი დანებდა: ჭიდაობა აღარ შემიძლიაო.

ერთ-ერთი იმდროინდელი გაზეთი ვანო ქიზიყელის შესახებ წერდა: „ამ დღეებში შედგება ბენეფისი მთელ მსოფლიოში გამოჩენილ ფენომენალურ, უძლიერეს ატლეტისა და მოჭიდავის აბულაძე — ქიზიყელისა... ქიზიყელი შეასრულებს უძნელეს ნომრებს. ასწევს გირებსა და სიმძიმეებს: მსხვილი ჩამოსხმული რკინისაგან მუჯაზე დაიგრეხს სამაჯურებს, რომელთაც ხალხს სამახსოვროდ დაურიგებს; ერთი ხელით ასწევს 4 მოზრდილ კაცს, რომელთა სიმძიმე 18 ფუთამდე აღწევს; კბილებით მოღუნავს დიუმნახევრიან რგვალ რკინას; ბატონ ქიზიყელს მკერდზე ორის ჩაქუჩით დაამტვრევენ 35 ფუთიან ქვას; ბატონ ქიზიყელის კისერზე 30 კაცი მოღუნავს ორდიუმიან რკინის კოჭს, დაწოლის სიმძიმე 120 ფუთამდე იქნება; ბატონი ქიზიყელი ფიცარში ლურსმანს ჩაარჭობს ცარიელი ხელით, უჩაქუჩოთ".

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი ნომრის შესრულების შემდეგ ვანო აბულაძე ეჭიდავა უძლეველად ცნობილ შავნიღაბას და დაამარცხა იგი.

ვანო ქიზიყელი ბევრს მოგზაურობდა რუსეთში, მთელს მსოფლიოში, მაგრამ თბილისშიც ხშირად გამოდიოდა. გ. თბილელი იგონებს: „ახლანდელი „დინამოს" სტადიონის პირდაპირ საჭიდაო სარბიელი იყო. აბულაძე ხშირად გამოდიოდა იქ. ერთ დღეს იგი იმ დროს სახელგანთქმულ მოჭიდავეს არუთინას (გვარი არ მახსოვს) დაეჭიდა. ამ შეჯიბრებას იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ ქუჩა შეიკრა, კონკა, ეტლები გაჩერდა. გამოიძახეს პოლიცია, მაგრამ წესრიგი მაინც ვერ დაამყარეს. ჭიდაობა დიდხანს არ გაგრძელებულა. კამბეჩუამ გაიმარჯვა, პოლიციელები ქუჩაში გაცვივდნენ და შეკრებილთ ამცნეს ეს ამბავი. მხოლოდ ამ გზით შესძლეს ხალხის დაშლა. მე ისიც მახსოვს, ნიკიტინის ცირკში, სადაც ახლა „ზარია ვოსტოკას" რედაქციაა, ვანო აბულაძემ როგორ დაჯაბნა ფრანგულ ჭიდაობაში ვინმე ვილჰემი, რომელსაც არბიტრი ასე აცნობდა მაყურებლებს: მსოფლიოში საუკეთესო ტექნიკოსი, რკინისმკლავებიანი, ფოლადისმკერდიანი, დაუმარცხებელი მოჭიდავეაო".

ვანო აბულაძე სპორტის საქმეს საქართველოში 1897 წლიდან ემსახურებოდა როგორც მოჭიდავე, ცირკის „იპოდრომის" ორგანიზატორი, თბილისში ათლეტიკისა და სპორტის სკოლის დამაარსებელი. ეს სკოლა 1923 წელს მან ხელოვნების მუშაკთა კავშირს გადასცა.

საბჭოთა ხელისუფლებამ დააფასა ვანო ქიზიყელის შრომა. წარსულში სპორტული და რევოლუციური დამსახურებისთვის მას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე პერსონალური პენსია ჰქონდა.

ხ. ქლენტი.



▲ **რომში** გამართულ ტრადიციულ ტურნირში 15 კმ რბენა მოიგო მასპინძელთა წარმომადგენელმა ა. ამბუმ.

▲ **ბარსელონა.** აქ დიდი ინტერესი გამოიწვია მეხიკოს ოლიმპიადის II პრიზიორის — იუგოსლავიის ნაკრებისა და ადგილობრივი „პიკადეროს" კალათბურთელთა მატჩმა. შეხვედრა, რომელსაც 5 ათასი მაყურებელი დაესწრო, სტუმრებმა მოიგეს — 94:71.

▲ **ბირთვის** კვრაში ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდსმენი რ. მეთსონი პროფესიონალებში გადასვლას აპირებს. მან მიწვევა მიიღო კალათბურთისა და ფეხბურთის პროფესიული კლუბებისგან. როგორც ამბობენ, მეთსონს განზრახული აქვს გაისიდან ერთ-ერთი ამ კლუბის წევრი გახდეს.

▲ *რომში გამართულ ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში იტალიელმა მ. ტარტანიმ 3 კილომეტრზე ქალების ინდივიდუალურ რბოლაში 4.09,3 აჩვენა და მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა.*

▲ **მსოფლიოში** უსწრაფესმა სპრინტერმა ჯ. ჰაინსმა ხელი მოაწერა კონტრაქტს პროფესიონალ ფეხბურთელთა გუნდთან „მიამი დელფინსთან" და წინასწარ 75 ათასი დოლარი მიიღო.

▲ **ჟურნალ** „კრასნაია ზვეზდას" საერთაშორისო ანკეტაში „XIX ოლიმპიადის № 1 სპორტსმენის" დასასახელებლად 50 ქვეყნის ჟურნალისტები მონაწილეობდნენ. ხმების უმრავლესობით № 1 ოლიმპიელად ლ. ჟაბოტინსკი აღიარეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ვ. სანეევი და რ. ბიმონი.

## შეხვედრა სახელოვან მთამსვლელთან

*ამას წინათ პროფტექნიკური განათლების სისტემის სპორტსმენებმა თავიანთ კულტურის სახლში შეხვედრა მოუწყვეს ცნობილ მთამსვლელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს მიხეილ ხერგიანს.*

*მიხეილის სპორტულ ბიოგრაფიაზე დამსწრეებს მოუთხრო საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორმა, მთამსვლელმა ლუიზა ნარიმანაშვილმა. შეხვედრის მონაწილეებმა ილაპარაკეს თავიანთ სპორტულ მიღწევებზე, მოგზაურობებსა და ალპინიადებზე.*

*გულთბილი მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ალპინიადის მონაწილეები, რომლებსაც მიხეილმა გადასცა ალპინიზმის I საფეხურის სამკერდე ნიშნები და მოწმობები.*

*დასასრულ გაიმართა კონცერტი პროფტექნიკური განათლების თვითმოქმედი კოლექტივებისა და მოწვეული მსახიობების მონაწილეობით.*

პ. გვარლიანი.

## ფეხბურთის ქრონიკა

● **ინგლისი.** ეროვნული ჩემპიონატის ლიდერები ქვლავინდებურად არიან „ლივერპული" და „ევერტონი", რომლებსაც 28 ქულა აქვთ თვითეულს. გათამაშების ლიდერებმა განვლილ ტურში მორიგი გამარჯვებები ჩაიწერეს. მომდევნო ადგილებზე არიან „ლიდსი" და „არსენალი".

● **ჩეხოსლოვაკია.** ტრნავის „სპარტაკმა" მოუგო „სპარტას" და 15 ქულით ცხრილის სათავეშია. მას 2 ქულით ჩამორჩება „ბანიკი" (ოსტრავა).

● **ბელგია.** ბოლო ტურში განცდილი მარცხის მიუხედავად („სენტ-ტრონდთან") ჩემპიონატის ცხრილს მეთაურობს „შარლერუა" — 15 ქულა. ლიდერს 1 ქულით ჩამორჩება „ანდერლეჰტი".

## ორი ოსტატი

ბათუმში გაიმართა საქართველოს პირადი პირველობა მარათონულ რბენაში. დიდ წარმატებას მიაღწიეს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის კ. მალიშკოვის აღზრდილებმა ე. სიმონოვმა („კოლმეურნე") და ა. კურზანოვმა (ასკ). სიმონოვმა მანძილის გარბენას 2 საათი, 23 წუთი და 58,6 წამი მოანდომა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. მისი შედეგი საქართველოს ახალი რეკორდია და ძველს 33,4 წამით ჯობს. სპორტის ოსტატი გახდა კურზანოვიც, რომელმაც 2:24.11,0 აჩვენა. III ადგილი დაიკავა ქედელმა ა. სურმანიძემ („კოლმეურნე") — 2:28.38.4 და პირველად შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი.

## სპარტაკიადა

ჩატარდა ახმეტის რაიონის სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ რაიონის წარმოება-დაწესებულებებისა და სოფლის მეურნეობის სპორტული კოლექტივები. პროგრამაში ხუთი სახეობა შედიოდა.

ქართულ ჭიდაობაში ჩემპიონი გახდა პანკისის საბჭოთა მეურნეობის გუნდი, ფეხბურთში — მატნის საბჭოთა მეურნეობის ნაკრები. მძლეოსნობაში ყველას აჯობეს ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენებმა. ფრენბურთსა და კალათბურთში პირველობა არავის დაუთმეს ამავე კოლექტივის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა.

სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში გაიმარჯვა ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა.

შ. ნათელაური.




ახლოვდება ახალი, 1969 წელი. იგი მდიდარი იქნება საინტერესო სპორტული ბატალიებით: გაიმართება მსოფლიოს, ევროპის, საკავშირო, რესპუბლიკური ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, საერთაშორისო შეხვედრები და სხვა დიდმნიშვნელოვანი ასპარეზობანი.

თუ სურვილი გაქვთ იყოთ სპორტულ მოვლენათა საქმის კურსში, გამოიწერეთ გაზეთი „ლელო".

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04333